



**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**  
**განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში**

**მასწავლებლის მოტივაციის ზეგავლენა ინგლისურის როგორც უცხოური ენის**  
**შემსწავლელი სტუდენტების საუბრისა და მოსმენის უნარ-ჩვევებზე (ერაყის**  
**მაგალითი)**

**სელჩუკ კორანი**  
**სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებებში**

**თბილისი, 2016**

სამეცნიერო

ლია თოდუა

ხელმძღვანელი:

---

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი შავი ზღვის  
საერთაშორისო უნივერსიტეტში

---

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. პროფესორი, დოქტორი ეკა ფიფია

---

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მანია ჩქოტუა

---

ოპონენტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. პროფესორი, დოქტორი რუსუდან გოცირიძე

---

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირმა ზარბაქაძე

---

3. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ვალერია ლემსკაია

---

## შესავალი

უცხოური ენის შესწავლაზე რამოდენიმე ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. ამ ფაქტორთაგან ერთ-ერთია შემსწავლელის უნარები მეორე ენის შეთვისების საქმეში; ასევე, გარემო, რომელშიც მას უწევს ენის სწავლა. კარგი სასწავლო გარემო მოიცავს: ეფექტურ სასწავლო მასალას და აღჭურვილობას, როგორებიცაა: კარგი სასწავლო შენობა, ლაბორატორიები, სახელმძღვანელოები, ინტერაქტიული სმარტბორდები, აუდიო სისტემები, ა.შ., ყოველივე, რაც სწავლის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. დანარჩენ ფაქტორებში შედის: მეორე ენის სწავლებისთვის გამოყენებული მეთოდები ან ტექნიკა, ცოდნის აზრიანობა, შემსწავლელის მოტივაცია, სტუდენტის სწავლის სტილი, მეხსიერება, უკუკავშირის გამოყენება, სტუდენტის ასაკი, დასწრება, სასწავლებელთან და ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორები. თუმცადა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც მეორე ენის შესწავლაზე ზეგავლენას ახდენს, არის მოტივირებული ენის მასწავლებელი. მასწავლებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლის მიერ სამეტყველო ქმედების დახვეწაში თავიანთი მოტივაციითა და სწავლებისადმი თავდადებით. ასე რომ, მთავარი ცვლადი, თვით შემსწავლელის გარდა, არის ენის მასწავლებელი, რადგან მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს შემსწავლელის დამოკიდებულებაზე ენის შესწავლის მიმართ. თუ მასწავლებლის მოტივაცია დაბალია, ყველა სხვა ზემოთ ნახსენებმა ფაქტორმა შესაძლოა კარგად არ იმუშაოს, რადგან სწორედ მასწავლებელი იყენებს და ააქტიურებს სხვა ფაქტორებს ენის ეფექტური სწავლებისთვის. მაგალითად, დაბალი მოტივაციის მქონე მასწავლებელი ეფექტურად ვერ გამოიყენებს სასწავლო საშუალებებს, როგორებიცაა: სმარტბორდი, პროექტორი ან სხვა აუდიო-ვიზუალური დამხმარე საშუალებები. მოტივირებული მასწავლებელი არის სწავლის ხელშემწყობი, ის კომპეტენტურია შემსწავლელის სასწავლო პროცესში ჩართვისასთვის მოტივირების საქმეში. მოტივირებული მასწავლებელი ძირითადი ფაქტორია, რომელიც ზეგავლენას ახდენს სტუდენტის წარმატებაზე საგანმანათლებლო პროცესში და წარმართავს და ძერწავს მათ მსოფლხედვას. უფრო

მეტიც, მოტივაცია სტუდენტს კურსისადმი ინტერესს უნარჩუნებს. მოტივაციის დონე, რომელიც მასწავლებელს საკლასო ოთახში შემოაქვს გარდაქმნის შესწავლის პროცესს უკეთესობისკენ ან უარესობისკენ.

სამწუხაროდ, მასწავლებლის მოტივაციას ინგლისური როგორც უცხოური ან მეორე ენის საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის მკვლევართაგან დიდი ყურადღება ბოლო დრომდე არ ექცეოდა (Dörnyei და Ushioda, 2011). კვლევები ჩატარებული მასწავლებლის მოტივაციის შესახებ ძირითადად ეხება ისეთ საკითხებს როგორებიცაა: მასწავლებლის სამუშაო კმაყოფილება, სტრესის მიზეზები, გადაღლა, სამუშაოს ნაადრევად მიტოვება, ა.შ. (Evans, 1998). ამ კვლევებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მასწავლებლის მოტივაციის შესახებ ლიტერატურაში (Dörnyei და Ushioda, 2011). თუმცა, ინგლისური, როგორც უცხოური ენის მასწავლებლის მოტივაცია ჯერაც იმ დარგად რჩება, რომელიც კვლევის ნაკლებობას განიცდის მასწავლებლის მოტივაციის ზოგადად შესწავლასთან შედარებით. ენის მასწავლებლის მოტივაციის შესახებ მთავარი კვლევა განახორციელეს პენინგტონმა(1991, 1995), კიმმა და დოილმა (1998, 1999), და შოიბმა (2004). მოტივაციასა და მიღწევას შორის ურთიერთმიმართების შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სწორედაც არსებობს კავშირი ენის მასწავლებლის მოტივაციასა და შემსწავლელის მიღწევებს შორის (Patrick და სხვ., 2000, გვ. 232; Csikszentmihalyi, 1997; Wild და სხვ., 1992; Pennington, 1995; Dörnyei, 2003/2005); თუმცადა, არ არსებობს კვლევები, რომლებიც შეისწავლიან ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლის მოტივაციის ზეგავლენას შემსწავლელის კონკრეტულ ენობრივ უნარებზე.

წინამდებარე კვლევა ჩემი, როგორც ინგლისური ენის მასწავლებლისა და ზედამხედველის ათწლიანი გამოცდილებითაა ნაკარნახევი. ამ პერიოდში გარკვეული დროის მანძილზე მე გახლდით ხარისხის მართვის კომიტეტის წევრი და ვაფასებდი მასწავლებლებს სწავლების დროს მათი ქმედების და სტუდენტების აკადემიური მიღწევების მიხედვით. მე გავაცნობიერე, რომ მოტივირებული

მასწავლებელი უმთავრესი ფაქტორია საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტის წარმატებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. მე დავინტერესდი მასწავლებლის მოტივაციის შესახებ ლიტერატურით და ვნახე, რომ დიდი ოდენობით ლიტერატურა არსებობს, რომელიც შემსწავლელის მიღწევებს მასწავლებლის მოტივაციას უკავშირებს. მივხვდი, რომ მასწავლებლის მოტივირება უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სწავლის პროცესზე. უფრო მეტიც, ის ეხმარება სტუდენტს კურსისადმი ინტერესი შეინარჩუნოს. მე ასევე აღმოვაჩინე, რომ მასწავლებელთა მოტივირება ერთ-ერთი უპირველესი გამოწვევაა ბევრი სკოლისა თუ უნივერსიტეტის ადმინისტრატორისთვის, რადგან მასწავლებლის მოტივაცია განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესში დაწესებულების მიზნების მიღწევის საქმეში წარმატებისა თუ ჩავარდნის დონეს. იმ დროიდან მოყოლებული ცვდილობდი დამეხვეწა საკუთარი თავი როგორც პროფესიონალს მასწავლებლის მოტივაციის სფეროში. მასწავლებლის მოტივაციასა და პედაგოგების მოტივირებისთვის საჭირო სტრატეგიების შესახებ რამოდენიმე პრეზენტაციით წარვსდექი იშვიკის უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრატორების წინაშე.

კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ ავირჩიე ეს თემა- მე შევნიშნე, რომ ინგლისური როგორც უცხოური ენის საკლასო ოთახების სხვადასხვა სასწავლო საშუალებით აღჭურვა არაფერს ნიშნავს, თუ არა გვყავს მოტივირებული მასწავლებელი, რომელიც მათ ეფექტურად და რაციონალურად გამოიყენებს. თვით მულტიმედიური მასალა ინგლისურს ვერ გასწავლის, ეს საშუალებები ეფექტურ მასწავლებლებს მოითხოვენ, რომლებიც ყველა სასწავლო მასალას: სახელმძღვანელოებს, ინტერაქტიულ დაფებს, ა.შ. კომპეტენტურად იყენებენ. ბევრი კვლევა ჩატარდა, თუ რამდენად ეფექტურია ტექნოლოგიის გამოყენება ინგლისური ენის შესწავლისას ხელშემწყობ საშუალებად, მაგრამ, მოტივირებული მასწავლებლის გარეშე ტექნოლოგია არ მუშაობს. მასწავლებლებს შეუძლიათ ენის შესწავლა მხიარულებად აქციონ, როცა ისინი თავიანთ სწავლებას სტუდენტების ინტერესებსა და უნარებს შეუხამებენ. როცა

მასწავლებელი საჭირო რაოდენობის აქტივობებს სწორად აწვდის სტუდენტს, შემსწავლელი მოტივირებულია ისწავლოს. შევხვედრივარ ისეთ ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლებს, რომლებიც ჩივიან, რომ შემსწავლელები მოტივირებული არ არიან იმეტყველონ ინგლისურად, არ მონაწილეობენ აქტივობებში და არ ასრულებენ თავიანთ დავალებებს. უმეტეს შემთხვევებში ამის მიზეზი თვით მასწავლებლის მოტივაციის ნაკლები დონე და სწავლებისადმი ენთუზიაზმის სიმცირე იყო. მე მჯერა, რომ ენის მასწავლებელი ერთ-ერთი გადამწყვეტი განმსაზღვრელი ცვლადია ინგლისური როგორც უცხოური ენის შემსწავლელის მოტივაციაში დაეუფლოს ენას და შესასწავლ ენაში სამეტყველო მოქმედების დონე აიმაღლოს.

სწავლება მხოლოდ ცოდნის გადაცემა როდია, ის ასევე მოიცავს სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი გახადო ყველა საჭირო პირობა დამოუკიდებლად სწავლის მოტივაციის აღძვრისათვის, საკლასო ოთახში თუ მის გარეთ; ამას გარდა, უნდა შექმნა გარემო, რომელშიც დამყარდება სტუდენტთან კარგი ურთიერთობა, რაც თავის მხრივ წინ წასწევს ენის შესწავლის საქმეს; მასწავლებელმა უნდა იმოძრაოს საკლასო ოთახში, მიუახლოვდეს იმ სტუდენტებს, რომელთაც დახმარება სჭირდებათ და სულ დახმარების მზაობაში იყოს; მან ისეთი სული უნდა შთაბეროს სასწავლო პროცესს, რომ ყველა სტუდენტი აღძრას თანამშრომლობისთვის და ა.შ.

მოტივაციის სფეროში ჩემმა გამოცდილებამ მიკარნახა ჩამეტარებინა კვლევითი სამუშაო, რათა მომეპოვებინა მყარი მტკიცებულება აუმიჯობესებს თუ არა მასწავლებლის მოტივაცია სტუდენტის მიღწევებს ენის შესწავლისას. ამ კვლევის მთავარი პრობლემაა იმის დადგენა, თუ რა დონემდე ახდენს მასწავლებლის მოტივაცია ზეგავლენას სტუდენტის რეცეპტულ უნარზე- მოსმენა და პროდუქტიულ უნარზე- საუბარი.

კვლევები უმეტესწილად აქცენტირებულია მეორე ენის შემსწავლელებზე და გაცილებით ნაკლებია გაკეთებული იმის გამოსავლენად, თუ რა ახდენს მასწავლებელთა მოტივირებას უკეთესად ან უარესად იმუშაონ ინგლისური როგორც

უცხოური ენის სწავლებისას. უფრო მეტიც, საჭირო იყო გამოკვლევითი ყველაზე უფრო პრობლემატური სფერო ინგლისური როგორც უცხოური ენის სწავლების დარგში- საუბრისა და მოსმენის უნარების ჩამოყალიბება, რადგანაც მასწავლებლებს ხშირად აბსოლუტურად განსხვავებული შედეგები აქვთ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში ან როცა განსხვავებულ ჯგუფებში ასწავლიან მათი მოტივაციის დონის არაერთგვაროვნების გამო. ეს ასპექტი ხდის კვლევის თემას აქტუალურსა და მნიშვნელოვანს.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის მიზანია გამოიკვლიოს:

- რა არის მასწავლებლის მოტივაციის არსი?
- რა სახის სტრატეგიებს იყენებენ ადმინისტრატორები პედაგოგიური კოლექტივის მოტივირებისთვის?
- რომელია ყველაზე რაციონალური მეთოდი დიდად მოტივირებული, ნაკლებ მოტივირებული და დემოტივირებული ან არამოტივირებული ინგლისური ენის მასწავლებლების განსასხვავებლად?
- როგორაა შესაძლებელი მეორე ენაში საუბრისა და მოსმენის ეფექტურად სწავლება?
- რა როლს თამაშობს უცხოური ენის მასწავლებელი საუბრისა და მოსმენის სწავლებაში?
- არსებობს ურთიერთმიმართება ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლის მოტივაციის დონესა და მეორე ენაში საუბრისა და მოსმენის უნარების ჩამოყალიბებაში შემსწავლელის მიღწევებს შორის?

ჩემი კვლევის ჰიპოთეზაა:

როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი მოტივაციის მაღალ დონეს ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლებში შედეგად მოაქვს უნივერსიტეტში ზრდასრული შემსწავლელის მიერ საუბრისა და მოსმენის უნარების უკეთ დაუფლება და, ზოგადად, დადებითი ზეგავლენა აქვს მეორე ენის შემსწავლელთა

კომპეტენციისა და სამეტყველო მოქმედების განვითარებაზე, მაშინ, როცა მოტივაციის შედარებით დაბალი დონე ენის მასწავლებელში იწვევს არასახარბიელო შედეგებს მეორე ენის შესწავლისას.

იმის გასარკვევად, თუ მასწავლებლის მოტივაცია როგორ ახდენს ზეგავლენას მეორე ენის შემსწავლელთა მოსმენისა და საუბრის უნარებზე, კვლევის შემდეგი მეთოდები იქნა გამოყენებული ამ დისერტაციაში:

- თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი
- გამოკითხვა
- ინტერვიუ
- ექსპერიმენტი
- დაკვირვება
- გამოკითხვიდან მიღებული შედეგებისა და ექსპერიმენტის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი

#### **რაოდენობრივი პარადიგმა:**

- სამმხრივი გამოკითხვა მასწავლებლის მოტივაციის დონის დასადგენად
- პრე-ტესტი
- შუალედური ტესტი
- პოსტ-ტესტი
- ექსპერიმენტის მონაცემების სტატისტიკური ანალიზი
- საბოლოო გამოკითხვა

#### **ემპირიული პარადიგმა:**

ინტერვიუები შემთხვევით შერჩეულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრატორებთან

- ინტერვიუ მასწავლებლებთან
- ინტერვიუ შემთხვევით შერჩეულ ადმინისტრატორებთან
- საბოლოო ინტერვიუ შემთხვევით შერჩეულ სტუდენტებთან



## **კვლევის სიახლე**

სადოქტორო ნაშრომის სიახლე მის მიდგომაშია გაიგოს თუ რა ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას მასწავლებლის მოტივაციაზე და შედეგად, როგორი ზემოქმედება გააჩნია მას (მოტივაციას) ინგლისური როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა საუბრისა და მოსმენის უნარებზე. ამას გარდა, ამგვარი კვლევა სიახლეა ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლისა და შემსწავლელის მოტივაციის დონის გამოკვლევის მცდელობის თვალსაზრისით.

## **თეორიული ღირებულება**

**ჩემს მიერ წარმოდგენილი კვლევის თეორიული საფუძვლები არის:**

სხვადასხვა მკვლევარის, ფსიქოლოგის, და ბიჰევიორისტის მიერ მოწოდებული მოტივაციის ცნება (Watson, 1914; Freud, 1915/1957; Toman, 1960; Hull, 1943; Festinger, 1957; Heider, 1958, Lewin, 1951; Festinger, 1957; Maslow, 1943-1954; Herzberg და სხვ., 1959; Vroom, 1964; Adams, 1963; Steyn, 2002; Atkinson, 1957);

მასწავლებლის მოტივაცია (McKeachie, 1997; Mowday და Nam, 1997; Watt და Richardson, 2008; Ashton, 1985; Csikszentmihalyi, 1997; Deci და Ryan, 1985; Dörnyei და Ushioda, 2011);

უცხოური ენის მასწავლებლის მოტივაცია (Dörnyei, 2003, 2007, 2011; Evans, 1998; Evans, Pennington, 1991, 1995; Kim და Doyle, 1998, 1999; Shoiab, 2004);

მოსმენისა და საუბრის სწავლება (Nunan, 2004; Nation და Newton, 2009; Krashen, 1981, 1985; Harmer, 2001, 2007, 2010; Ur, 2012; Richards, 2008; Vandergrift და Goh, 2012).

მე შევისწავლე ყველაზე გავლენიანი თეორიები მოტივაციის შესახებ, და მასწავლებლის მოტივაციის შესახებ და როგორც ინგლისური ენის მასწავლებელმა დავხვეწე ზრდასრული ენის შემსწავლელებისთვის მოსმენისა და საუბრის სწავლების მეთოდები და ტექნიკა. ჩემი კვლევა ხელს შეუწყობს ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლის მოტივაციისა და სწავლების სტრატეგიების

ზეგავლენის გააზრებას უცხოური ენის სტუდენტთა საუბრისა და მოსმენის უნარებზე.

ამ კვლევაში იმ ფაქტორების დადგენით, რომლებიც ხელს უწყობენ ინგლისურ ენაზე როგორც უცხოურ ენაზე საუბრისა და მეტყველების უკეთ დაუფლებას უნივერსიტეტის სტუდენტებში ინგლისური როგორც უცხოური ენის სწავლებაში მასწავლებლის როლის მნიშვნელოვნება ყურადღების ქვეშ მოექცა.

### **პრაქტიკული ღირებულება**

კვლევა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ამალდეს ცნობადობა, თუ რა ქმედებებია საჭირო ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლის მოტივაციის ასამაღლებლად და ზოგადად, დასაქმების მოდელების გასაუმჯობესებლად. დისერტაციის შედეგები დაეხმარება ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლებს გაზარდონ თავიანთი მოტივაცია, რათა მიაღწიონ სრულყოფილებას მათ მიერ არჩეულ პროფესიაში.

### **დისერტაციის სტრუქტურა**

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალს, 3 თავს, დასკვნებსა და დანართს. მასში შედის 26 ცხრილი და 15 სქემა.

### **თავი 1 -მასწავლებლის მოტივაცია უცხოური ენის სწავლებაში**

#### **ლიტერატურის მიმოხილვა**

ტერმინი „მოტივაცია“ დიდი ხანია განიხილება სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ, როგორებიცაა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, პედაგოგიკა, ა.შ. და ამიტომაც მეცნიერები მოტივაციის ცნებას განსხვავებული განმარტებებით უდგებიან. მოტივაცია შესაძლებელია გავიგოთ, როგორც “ნებელობა”, “შინაგანი იმპულსი” ან “თავისუფლება”. იფინედო (2004), როზენფილდი და უილსონი (1999) აღნიშნავენ, რომ ადვილი არ არის განმარტო მოტივაცია; შედეგად, ძნელია მივიღეთ ერთ ზუსტ

დეფინიციამდე კონკრეტულად, რადგან ცნება მოიცავს როგორც ინდივიდის მახასიათებლებს, ასევე სიტუაციას, და ყოველივეს ემატება ის, თუ როგორ აღიქვამს ამ სიტუაციას ეს ინდივიდი.

ადამიანის ორგანიზმი წარმოუდგენლად მგძნობიარეა სოციალური სამყაროს მომართ. ჩვილი დაბადების შემდეგ სხვათა სახეებისგან ასხვავებს დედის სახეს და მოგვიანებით იწყებს მის გარშემო მყოფი ადამიანების სახის გამომეტყველებისა და სხვა ქმედებების იმიტაციას. ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვილი ეწერება თავის გარემოცვაში. სოციალური დასწავლის თეორიის მიხედვით (Bandura, 1971), ჩვენ ჩვენს ქცევას უმეტესწილად ვიძენთ ჩვენს სოციალურ სამყაროში სხვებზე დაკვირვებითა და იმიტაციით. მაშასადამე, ქცევათა უმეტესობა დასწავლილია და მოტივირებულია სოციალური ურთიერთობებით, მაშინ, როცა ჩვენ ჩვილობიდან ზრდასრულობაში გადავდივართ.

ჩვენ თვალს მოტივს ვერ მივადევნებთ; გარკვეულწილად, ჩვენ ქცევას ვაკვირდებით და მივდივართ დასკვნამდე, რომ მის უკან მოტივი უნდა არსებობდეს. ნევიდი (2013, გვ.288) ამტკიცებს, რომ „ მოტივები არის ჩვენი ქცევის „რატომ“- საჭიროებები და სურვილები, რომლებიც უბიძგებენ ქცევას და ხსნიან, თუ რას ვაკეთებთ, ჩვენ მოტივს როდი ვამჩნევთ, არამედ ვასკვნით, რომ ის არსებობს იმ ქცევაზე დაყრდნობით, რომელსაც თვალს ვადევნებთ.“ მოტივები ქცევის ასახსნელად გამოიყენება და მათ წინასწარ განჭვრეტაში გვეხმარება. მოტივი ასევე განისაზღვრება, როგორც სოციალური (შექება, აღიარება) და ფსიქოლოგიური (ოჯახი, ურთიერთობები) მექანიზმი ან სხვა არაბიოლოგიური საშუალება.

ბევრი ფაქტორი არსებობს, რომელიც აღძრავს, აძლიერებს და უნარჩუნებს ადამიანს ქცევას. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს საჭიროებები, რწმენები, მიზნები, სოციალური საშუალებები, ინტერესები, წახალისებები, ცნობისმოყვარეობა, ა.შ. მოტივაციის მამოძრავებელი ყველა ეს ძალა შესაძლებელია ორ ჯგუფად დავყოთ: შინაგანი მოტივაცია და გარეგანი მოტივაცია.

გარე ფაქტორები დაკავშირებულია იმ კონტექსტსა და გარემოსთან, რომელშიც ქმედება ხორციელდება: ჰერზბერგი, მაუსნერი, და სნაიდერმენი (1959). გარეგანი მოტივაცია გარე სამყაროსგან წარმოიშობა და ის სხვებისგანაა შექმნილი. ისინი შესაძლოა გარე ჯილდოებით ან ხელშესახები შედეგებით აღიძრან (Walker Tileston, 2004). გარეგანი მოტივაცია მოვალეობასთან თვით მოვალეობის გამო კი არ არის დაკავშირებული, არამედ, მისი მეშვეობით გარე სამუშაოების მოპოვებასთან, როგორებიცაა: ჯილდო, შექება, პრემია, ა.შ. ეს ფაქტორები შესაძლოა დავახარისხოთ, როგორც ინსტიტუციური ფაქტორები, ფიზიკური პირობები და დამატებითი შედეგები. რაც შეეხება მასწავლებლის მოტივაციას, პედაგოგები გარეგანად მოტივირდებიან ხელფასის, პრემიის, პენსიის, დაწინაურების, დასვენების დღეების, სამუშაოს უსაფრთხოების, აღიარების, შექების, სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მეშვეობით, ყოველივე ამან შესაძლოა ხელი შეუწყოს სწავლების მოტივაციას და ასევე სამუშაოთი კმაყოფილებას.

შინაგანი მოტივაცია შიდა ფაქტორებისგან მომდინარეობს და თვით პიროვნების მიერ გენერირდება. ადამიანი ჩადის გარკვეულ ქცევას, რადგან ეს მას სიამოვნებას ანიჭებს, აქედან გამომდინარეობს უფრო მეტად ფსიქოლოგიური ჯილდო, ვიდრე ფიზიკური. „შინაგანი მოტივაცია არის მოტივაცია ჩაერთო ქმედებაში თვით ქმედების გამო, რადგან მასწავლებელი აღიქვამს ქმედებას, როგორც საინტერესოს, სირთულის შემცველს, ჩართულობისა და კმაყოფილების გამომწვევს“. (Hugo, 2000, გვ.144). რაც შეეხება მასწავლებლის მოტივაციას, როცა მასწავლებელი შინაგანადაა მოტივირებული, ის არ ფიქრობს ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა: შექება, აღიარება ან სხვა ხელშესახები ჯილდო უწინარესი მოტივაციის მოსაპოვებლად, რადგან ფიქრობს, რომ თვით სწავლების პროცესია ჯილდო.

წინამდებარე თავში ჩვენ შევაჯამეთ ფსიქოლოგია, სოციოლოგია და განათლების ფსიქოლოგიის მკვლევართა ყველაზე გავლენიანი თეორიები და მათი იმპლიკაციები საგანმანათლებლო სფეროსთვის.

ცხრილი 1.1 მოტივაციის თეორიები და მათი იმპლიკაციები მასწავლებლებისთვის

თეორიები	იმპლიკაციები
<p>მასლოუს საჭიროებათა იერარქია</p>	<p>იმისთვის, რომ მივაღწიოთ საჭიროებათა უფრო მაღლა მყოფ სამ დონეს, ჯერ უნდა მოვიცვათ და დავაკმაყოფილოთ მასწავლებელთა ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების საჭიროებები და მხოლოდ ამ დონეების დაძლევის შემდეგ შეუძლიათ ადმინისტრატორებს ფოკუსირება მასწავლებლის მოტივაციის ამალგებაზე უკეთესი აკადემიური ქმედებისთვის (ხელფასი, სამუშაოს უსაფრთხოება, კარგი სამუშაო გარემო და მუშაობის პირობები, კარგი ურთიერთობა კოლეგებთან და სტუდენტებთან, თვით-დახვეწის შესაძლებლობები.)</p>
<p>ჰერცბერგის თეორია</p>	<p>სამუშაო ქმედებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ძირითადად შიდა ფაქტორებს, როგორებიცაა, თვით სამუშაო, მიღწევები, ზრდა, პასუხისმგებლობა, და აღიარება, და ისინი ეფექტური არიან დროის ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრატორებმა უნივერსიტეტებსა და სკოლებში იცოდნენ ამ ფაქტორების შესახებ და იყენებდნენ მათ თავიანთ დაწესებულებებში.</p>
<p>თეორია X და თეორია Y</p>	<p>განათლების დარგის მენეჯერებმა გარანტირებულად უნდა შექმნან გარემო, სადაც მასწავლებლებს აქვთ პასუხისმგებლობა, ჩართული არიან მენეჯმენტში, მონაწილეობას ღებულობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აქვთ შეგრძნება, რომ ეკუთვნიან დაწესებულებას და ამგვარად ავლენენ თავიანთ სრულ პოტენციალს. ასეთ გარემოში მასწავლებლები დიდ ძალისხმევას მიმართავენ დაწესებულების მიზნების აღსრულებისკენ და ხელს შეუწყობენ სწავლისთვის უკეთესი გარემოს შექმნას.</p>

<p>მოლოდინის თეორია</p>	<p>ეს თეორია შეგვიძლია მივუსადაგოთ ნებისმიერ სიტუაციას, სადაც ინდივიდი აკეთებს რაიმეს, რადგანაც კონკრეტული შედეგი სურს. შეუძლებელია მასწავლებლის მოტივირება იმ ჯილდოთი, რომელიც მისთვის ფასეული და ზომიერად მიღწევადი არ არის. როცა ისინი გადაწყვეტენ, რომ ნამდვილად სურთ ისეთი ჯილდოები, როგორებიცაა, დასვენების დღეები, პრემია ან დაწინაურება, მათ უნდა ჯეროდეთ, რომ ამ ყოველივეს მოპოვება შესაძლებელია. ეს აღქმა მოახდენს მათ მოტივირებს უკეთ აღასრულონ თავიანთი საქმე და ამგვარად მიაღწიონ სასურველ შედეგს.</p>
<p>სამართლიანობის თეორია</p>	<p>მასწავლებლებს სამართლიანად უნდა მოვეპყრათ მათი ძალისხმევისა და მოქმედებისათვის. ისინი ჩვეულებრივ თავის წვლილს, მაგ., მცდელობა, უნარები, შესაძლებლობები, პიროვნული თავდადება, ადარებენ ამონაგებს, მაგ., ხელფასი, დამატებითი შეღავათები, აღიარება, შექება და მადლობა, ასევე, რეპუტაცია.</p>
<p>მიღწევის მოტივაციის თეორია</p>	<p>ეს თეორია ამტკიცებს, რომ ინდივიდები მოტივირდებიან აღასრულონ კონკრეტული მოვალეობა აქვთ რა წარმატების იმედი ან ეშინათ რა წარუმატებლობის, ე.ი., წარმატების მიღწევის და ხელმოცარვის თავიდან არიდების მიდრეკილება აიძულებს ადამიანებს პოზიტიურად იმოქმედონ.</p>

სამწუხაროდ, ბოლო დრომდე ინგლისური როგორც უცხოური და მეორე ენის განათლების ფსიქოლოგიის მკვლევართა მხრიდან მასწავლებლის მოტივაციას დიდი ყურადღება არ ექცეოდა (Dörnyei, 2011). მასწავლებლის მოტივაციის შესახებ ჩატარებული კვლევები ძირითადად ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მასწავლებლის სამუშაოთი კმაყოფილება, სტრესის მიზეზები, გადაღლა, სამუშაოს

დროზე ადრე მიტოვება, ა.შ. (Evans, 1998-2001; Sapp, 2008). ამ კვლევებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დიდი წვლილი შეიტანეს მასწავლებლის მოტივაციის შესახებ ლიტერატურაში (Dörnyei, 2011). თუმცა, ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლის მოტივაცია რჩება სფეროდ, რომელიც კვლევის დეფიციტს განიცდის ზოგადად მასწავლებლის მოტივაციის შესწავლასთან შედარებით. ჩვენ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ დიდი ოდენობით ლიტერატურა ამ მიმართულების და შევაჯამეთ ის ფაქტორები, რომლებიც უმეტესწილად წარმოშობენ მოტივაციას ინგლისური როგორც უცხოური და მეორე ენის მასწავლებლებში.


**სქემა 1.1. რეზიუმე -ინგლისური როგორც უცხოური და მეორე ენის მასწავლებლების მოტივირების ფაქტორები**



დორნიეი განიხილვს საკითხს მოტივაცია სწავლის „მიზეზია“ თუ „შედეგი“, ე.ი. მოტივაცია აღძრავს ქცევას თუ ქმედების შედეგი ეხმარება ქცევას შენარჩუნებაში? თუმცა, ზოგი ადამიანი მოტივაციას აღიქვამს არა როგორც უბრალოდ მიზეზ-შედეგობრივ პროცესს. რადგან მოტივაცია დინამიურია, ის შესაძლოა თანდათანობით განვითარდეს სხვადასხვა მენტალური პროცესების მეშვეობით.

მასწავლებლის პროფესიაში მოტივაცია შესაძლოა არ შენარჩუნდეს ერთიდაიგივე დონეზე წლების მანძილზე. ერთი მასწავლებელი შესაძლოა იყოს დიდად მოტივირებული ან ნაკლებ მოტივირებული იმისდა მიხედვით, თუ როგორია გარე თუ შიდა ზეგავლენები. მაგალითად, მასწავლებელი შესაძლოა დიდად მოტივირებული იყოს კარიერის პირველ წლებში, მაგრამ მოგვიანებით სხვადასხვა შიდა თუ გარე ზეგავლენების საპასუხოდ მოტივაციამ შესაძლოა დაიკლოს და განსხვავებული მიმართულებით გადანაწილდეს, პიროვნებამ შესაძლოა დაკარგოს სწავლების მოტივაცია ან შესაძლოა პირიქითაც მოხდეს. ჩვენ შევაჯამეთ ის ფაქტორები, რომელთაც ენის მასწავლებელთა შორის დემოტივაციამდე მივყავართ.

**სქემა 1.2 მასწავლებლის დემოტივაციის მიზეზები**



**თავი 2 -ინგლისური როგორც უცხოური და მეორე ენის მასწავლებლის მოტივაცია საუბრისა და მოსმენის უნარების სწავლებაში**

ეფექტური მენეჯმენტი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მასწავლებლის მოტივაციაში. მას შეუძლია



ჩამოაყალიბოს ან დაანგრიოს მასწავლებლის მოტივაცია: Evans (1998). საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მენეჯერულ სტრუქტურას ხელი მოეცარება კარგად ფუნქციონირებაში, მასწავლებლები აშკარაა დაკარგავენ სწავლების მოტივაციას და ასევე, თავდადებას ორგანიზაციისადმი. არსებობს თანხმობა მასწავლებლის მოტივაციის მკვლევარებსა და პრაქტიკოსებს შორის, რომ მოტივირებული მასწავლებელი სკოლისა თუ უნივერსიტეტის, სტუდენტის მიერ სწავლის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებულობის აუცილებელი შემადგენელია.

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ ის ინსტიტუციური პრაქტიკა, რომელიც აღძრავს მასწავლებლის მოტივაციას. დავეყრდენით რა ადმინისტრატორებთან გასაუბრებებსა და ჩვენეულ დაკვირვებებს, ჩვენ ჩამოვთვალეთ ის გზები, რომლითაც იმიკის უნივერსიტეტის ადმინისტრატორები ცდილობენ აკადემიური პერსონალის მოტივირებას ინგლისური ენის სწავლების დეპარტამენტსა და მოსამზადებელ სკოლაში. ინსტიტუციური პრაქტიკა მასწავლებლის მოტივირებისთვის მოიცავს: უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და მიზნების გახმოვანებას; მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას; მასწავლებლებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას და მათი ძალაუფლებით აღჭურვას; მასწავლებელთა მიღწევების აღიარებას მათი შექებით, უკუკავშირის მიწოდებით; და ბოლოს, მასწავლებლების კარგი სამუშაო პირობებით და აღჭურვილობით უზრუნველყოფით. ამას გარდა, ჩვენ განვიხილეთ, თუ რას აღიქვამენ ინგლისური ენის როგორც უცხოური ენის მასწავლებლები ადმინისტრაციის მხრიდან ჩავადნად მათი მოტივირების საქმეში.

ამ თავში მიმოხილულია მოსმენისა და საუბრის უნარებისა და მათი სწავლების სპეციფიკა, ასევე, თუ რა როლს ასრულებენ მასწავლებლები ამ უნარების სწავლებაში და როგორ გამოირჩევიან მოტივირებული მასწავლებლები ამ უნარების სწავლების მათეული პრაქტიკით.

თვლიან, რომ მოსმენა ენის შესწავლაში მნიშვნელოვანი ენობრივი უნარია; თუმცა, მოსმენასა და მის თანმდევ გაგებას პრაქტიკისა და თეორიის თვალსაზრისით მეტი ყურადღება ჭირდება. როსი (2001) ასკვნის, რომ უმეტეს შემთხვევაში ყველაზე წარმატებული ენის შემსწავლელი ის არის, ვინც ყველაზე მეტს უსმენს შესასწავლ ენაზე. თუმცა, სტუდენტები მოსმენას დაუფლების თვალსაზრისით ყველაზე რთულ უნარად თვლიან (Graham, 2003). ვანდერგრეიფტი (2007) აცხადებს, რომ მიზეზი შესაძლოა იყოს ეფექტურად მოსმენის ცოდნისა და სტრატეგიების ნაკლებობა. ასე რომ, მეტი ემპირიული კვლევაა საჭირო მოსმენისა და გაგების პროცესის შესასწავლად. უფრო მეტიც, მასწავლებლები უნდა დაეხმარონ შემსწავლელებს გახდნენ ეფექტური მსმენელები უზრუნველყოფენ რა მათ მოსმენის პრაქტიკით ავთენტურ სიტუაციებში, სადაც ისინი შეძლებენ ენის გამოყენებას. გარდა ამისა, მჯერა, რომ გასაგები მიღებული ინფორმაცია (input) ძალზედ მნიშვნელოვანია ენის შეთვისებისთვის. მასწავლებლებს შეუძლიათ გააუმჯობესონ შემსწავლელთა ინგლისურის ცოდნა მათთვის ინტერნეტის, რადიოს, ტელევიზიის, ფილმების, სიმღერების, კომპაქტური დისკების მქონე წიგნების, ა.შ. მეშვეობით გასაგები მასალის მიწოდებით.

მეტყველების აქტი მოიცავს ერთდროულად მოსმენასა და გაგებას და ეყრდნობა კომუნიკაციურ კომპეტენციასა და სიტუაციურ კონტექსტს. გამომდინარე აქედან, ითვლება, რომ საუბარი რთული სისტემაა, რადგან ის მოიცავს გრამატიკის, ბგერისა და ლექსიკის გამოყენების უნარს და ენის კულტუროლოგიურ ცოდნასაც. საუბარი არის მეთოდი, რომლითაც მოსაუბრე თავის აზრს გამოხატავს არა მხოლოდ ზეპირი ფორმით, არამედ ასევე კოჰერენტულად და სათანადოდ აზრიანი ყაიდით. რადგან ენის ცოდნა უფრო რთულია, ვიდრე მხოლოდ მისი სინტაქსი და ლექსიკა, მასწავლებლისგან ელიან, რომ ის ენის შემსწავლელს ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და დისკურსის კომპეტენციებსაც გააცნობს. და ბოლოს, შემსწავლელებს უნდა გავაცნობიერებინოთ, თუ როგორ ააგონ ენა ცნობიერად და კოჰერენტულად და თანაც აცნობიერებდნენ სოციალური კონტექსტის

მნიშვნელოვნებას და შეეძლოთ გამოიყენონ კომუნიკაციის ალტერნატიული ან არავერბალური საშუალებელი, როცა სიტყვები უმტყუნებენ.

როცა მოსმენას ან საუბარს ასწავლიან მასწავლებელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობაა აღძრან ინტერესი თავიანთ სტუდენტებში, დაეხმარონ გადალახონ კომუნიკაციისა და მოსმენის წინაღობები და გახადონ ისინი მოტივირებული მონაწილეობა მიიღონ საუბრისა და მოსმენის აქტივობებში. ჩვენმა გამოკითხვებმა და ინტერვიუებმა სტუდენტებთან გვიჩვენა, რომ უცხოური ენის შესწავლა არის პროცესი, რომელიც მასწავლებლისგან მოითხოვს სხვადასხვა როლი შეასრულონ საკლასო ოთახში. ეს როლები განპირობებულია სწავლების პროცესში შესასრულებელი მოვალეობის ან აქტივობის სახეობით. ზოგი აქტივობა მოითხოვს მასწავლებელი იყოს მოკარნახე, ზოგი- ტექნიკის ოპერატორი ან უკუკავშირის ორგანიზატორი. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი აცნობიერებდეს, თუ შესასრულებელი სამეცყველო მოქმედების სახეობიდან და შესწავლელთა განწყობიდან გამომდინარე რა სათანადო როლი უნდა შეასრულოს. მათ უნდა შეეძლოთ ასევე როლების ჩანაცვლება, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს და გააზრება, თუ როგორ უნდა შეასრულონ იგი შესაფერისად. რომ შევაჯამოთ, მოსმენისა და საუბრის სწავლებისას მასწავლებელთა როლები მოიცავს: უკუკავშირის უზრუნველყოფი, მოკარნახე, მოტივატორი, მონაწილე, ტექნიკის ოპერატორი, ა.შ.

ჩვენ დავაკვირდით და შევნიშნეთ, რომ ინგლისური ენის შესწავლის მიმართ შემსწავლელების დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს, როცა მათ დიდად მოტივირებული მასწავლებელი ასწავლით, რადგანაც სტუდენტთა მოტივაცია ისწავლონ ენა იზრდება მათი მასწავლებლის დამოკიდებულებისა და ქმედების შედეგად. ჩვენ წარმოვაჩინეთ, თუ როგორ ზემოქმედებს სტუდენტებზე მათი მასწავლებლის ენთუზიაზმი და მოტივაცია თავიანთი ყაიდით დაგეგმონ და საკლასო ოთახში წარადგინონ სხვადასხვა აქტივობები. განხილულია ასევე მასწავლებლის თავდადება შემსწავლელების მიმართ თუ როგორ აისახება მათზე

დადებითად სტუდენტებისთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებით, სწავლისას შფოთვის შემცირებით, სხვადასხვა სიტუაციაში მათი შეგულიანებით.

**თავი 3- კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია, შედეგები და განხილვა**

კვლევა შეეცადა გარანტირებულად გამოყენებული ყოფილიყო შესაფერისი სისტემატიური დიზაინი, რათა თავიდან აგვეცილებინა სუბიექტურობა და შედეგები მაქსიმალურად ვალიდური გაგვხადა. კვლევის დიზაინი უზრუნველყოფს საჭირო მონაცემთა შეგროვებისთვის საერთო ჩარჩოს. გამოვიყენეთ რა შერეული-რაოდენობრივი და თვისობრივი მიდგომები, მოვიპოვეთ მონაცემები ინდივიდების და უფრო ფართო სოციალური კონტექსტის შესახებ და ორივე მიდგომის მოშველიებით თავიდან ავიცილეთ ის ნეგატიური ასპექტები, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიდგომის გამოყენება იწვევს. მაკმილანისა და შუმახერის (2010) მიხედვით, ორივე მეთოდის გამოყენებით მკვლევარი აძლიერებს კვლევას და მის შინაგან ვალიდურობას (გვ. 395).

**ცხრილი 3.1 კვლევის დიზაინი**

კვლევა	კვლევის მიზანი	მონაცემთა შეგროვების საშუალებები
ნაწილი 1: მასწავლებლის მოტივაციის დონის გაზომვა	დავადგინოთ მასწავლებლის მოტივაციის დონე და მოპოვებული შედეგები დავუკავშიროთ მეორე ენის შემსწავლელის მოტივაციასა და სამეტყველო ქმედებაზე როგორც დადებით, ასევე უარყოფით ზეგავლენას	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მასწავლებლის მოტივაციის გამოკითხვა</li> <li>2. სტუდენტის კითხვარი მასწავლებლის მოტივაციის შესახებ</li> <li>3. ლექციის შეფასების ანკეტა და კითხვარი, რომელზეც ადმინისტრატორებმა და ზედამხედველებმა უპასუხეს</li> </ol>

ნაწილი 2: დაკვირვება  
საკლასო ოთახში

დავადგინოთ  
მასწავლებლის როლი,  
დამოკიდებულება  
სტუდენტების მიმართ,  
წარმატებული პრაქტიკა  
და ჩავარდნები საუბრისა  
და მოსმენის სწავლებაში

1. მონაცემები შეგროვდა  
მკვლევარის მიერ  
დაკვირვებების მეშვეობით  
საკლასო ოთახში და მის  
გარეთ (რაოდ. 15)

ნაწილი 3: სტუდენტის  
მიერ საუბრისა და  
მოსმენის უნარების  
განვითარების დონის  
გაზომვა და ტესტირება

დავადგინოთ იმ  
სტუდენტთა პროგრესი  
მოსმენასა და საუბარში,  
რომელთაც ასწავლიან  
დიდად მოტივირებული,  
საშუალოდ  
მოტივირებული და  
ნაკლებ მოტივირებული  
მასწავლებლები

საუბრისა და მოსმენის  
ტესტირება ჩატარდა  
Standardized University of  
Cambridge ESOL  
Examination for English for  
Speakers of Other Languages-  
ს მეშვეობით

1. პრე-ტესტი
2. შუალედური ტესტი
3. პოსტ-ტესტი

ნაწილი 4: მოსაზრებები  
სტუდენტებისგან

მივიღოთ უკუკავშირი  
მონაწილე  
სტუდენტებისგან  
საუბრისა და მოსმენის  
განვითარებაში მათი  
დამოკიდებულების,  
წარმატებული პრაქტიკისა  
და ჩავარდნების შესახებ

1. სტუდენტის გამოკითხვა  
საუბრისა და მოსმენის  
განვითარებაში  
მასწავლებლის როლის  
შესახებ

2. ინტერვიუ ექვს  
შემთხვევით შერჩეულ  
სტუდენტთან მონაწილე  
კლასებიდან

მიმდინარე კვლევა ჩატარდა იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელ სკოლაში. იშიკის უნივერსიტეტი არის კერძო უნივერსიტეტი, რომელსაც ფლობს ფეხალარის საგანმანათლებლო დაწესებულება. რადგანაც იშიკის უნივერსიტეტში სწავლების ენა ინგლისურია, უნივერსიტეტში ჩარიცხულმა პირველკურსელებმა უნდა წარადგინონ TOEFL ან IELTS -ში მიღებული ქულები ან უნდა ჩააბარონ English Proficiency Exam-ის კომპიუტერული ვერსია, რომელიც შექმნილია და შესყიდულია Oxford University

Press-იდან იშვიკის უნივერსიტეტის მიერ. ამ ტესტების შედეგები მიუთითებენ სტუდენტის მიერ ინგლისური ენის ფლობაზე.

ამ კვლევაში მონაწილე პირები არიან იშვიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის მასწავლებლები და მათი სტუდენტები. უნივერსიტეტის დონეზე ინგლისური როგორც უცხოური ან მეორე ენის 25 მასწავლებელი გამოიკითხა კითხვარის მეშვეობით, რათა მოგვეპოვებინა ინფორმაცია მიტივაციის მათეული დონის შესახებ. ყოველი წინადადება/ შეკითხვა კითხვარში ეყრდნობოდა მოტივაციის შესახებ სხვადასხვა თეორიას. ამ სამნაწილიანი გამოკითხვის კიდევ ორი მხარე იყვნენ ადმინისტრაცია და სტუდენტები და მათაც უპასუხეს შესაბამის კითხვარს.

კვლევამ მოიცვა მხოლოდ 3 კლასი, რომელთაც ასწავლიდნენ მასწავლებლები A, B და C. სამნაწილიან (მასწავლებელი, სტუდენტი, ადმინისტრატორი) გამოკითხვაზე დაყრდნობით მასწავლებლები კლასიფიცირებულ იქნენ, როგორც

- მასწავლებელი A - დიდად მოტივირებული მასწავლებელი-ინგლისურის მასწავლებელი საუკეთესო შეფასებით, მაღალი ეფექტურობით, მყარი ენთუზიაზმით და შემართებით.
- მასწავლებელი B - ზომიერად მოტივირებული- ინგლისურის მასწავლებელი კარგი ან საშუალო შეფასებით, თუმცა, ნაკლებად ენთუზიასტი და შემართული.
- მასწავლებელი C - ნაკლებად მოტივირებული - ინგლისურის მასწავლებელი დაბალი შეფასებით, რომელსაც ხალისი აკლია და მცირე ენთუზიაზმი გააჩნია.


**ცხრილი 3.2 მასწავლებლის მოტივაციის გამოკითხვის, ადმინისტრაციის მიერ მასწავლებლის შეფასების, სტუდენტთა მიერ მასწავლებლის შეფასების შეჯამება**

<b>გამოკითხვის/კითხვარის ტიპი</b>	<b>მასწავლებელიA საშუალო</b>	<b>მასწავლებელიB საშუალო</b>	<b>მასწავლებელიC საშუალო</b>
1. მასწავლებლის მოტივაციის გამოკითხვა	4.29	3.22	2.61
2. ადმინისტრატორის შეფასების შესწავლა/ გაკვეთილის დაკვირვების ჩანაწერები (სამეცნიერო კომიტეტის შეფასება)	4.275	3.55	2.605
3. კითხვარი, რომელსაც სტუდენტებმა მათი მასწავლებლების შესახებ უპასუხეს	3.78	2.78	2.35
<b>საშუალო</b>	<b>4.115</b>	<b>3.183</b>	<b>2.521</b>


სტუდენტთა პოპულაცია შედგებოდა 18 სტუდენტისგან კლასში A, 18 სტუდენტისგან კლასში B, და 19 სტუდენტისგან კლასში C.

პრე-ტესტის, შუალედური ტესტის და პოსტ-ტესტის შედეგების მონაცემთა ანალიზმა ცხადყო, რომ დიდად მოტივირებული მასწავლებლის მიღწევების რანჟირება საუბრისა და მოსმენის უნარების დახვეწის თვალსაზრისით მაღალია, ვიდრე საშუალოდ მოტივირებული მასწავლებლის და გაცილებით მაღალია, ვიდრე ნაკლებად მოტივირებული მასწავლებლისა.

სქემა 3.1 მოსმენაში პროგრესის ტესტების საშუალო 100 ქულიდან



სქემა 3.2 საუბარში პროგრესის ტესტების საშუალო 100 ქულიდან



### დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევამ გამოააშკარავა შემდეგი შედეგები:

1. მოტივირებული მასწავლებელი სკოლის/უნივერსიტეტის გაუმჯობესების, სტუდენტის მიერ სწავლის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებულობის აუცილებელი შემადგენელია. მოტივირებული მასწავლებელი გაზრდის დაწესებულების პროდუქტიულობას სასწავლებლის



მისიისადმი თავდადებით. მასწავლებლის მოტივირება ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა ბევრი სკოლსა თუ უნივერსიტეტის ადმინისტრატორისთვის, რადგან მასწავლებლის მოტივაცია განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესში დაწესებულების მიზნის მიღწევისას წარმატების თუ ჩავარდნის ხარისხს.

2. უდიდესი გამოწვევა ადმინისტრატორებისთვის არის ის ფაქტი, რომ მოტივაცია ინდივიდუალურია, ერთი ცალკე აღებული მეთოდი თანაბრად ყველა მასწავლებლის მოტივირებას ვერ მოახდენს; ამიტომაც, მიმდინარე კვლევა წარმოგიდგენთ სასარგებლო სტრატეგიათა წყებას, რომლებიც ადმინისტრაციას შეუძლია გამოიყენოს მასწავლებელთა მოტივაციისთვის:

- რეგულარულად უნდა ხდებოდეს დაწესებულების ხედვის გახმოვანება პერსონალის ცნობარის მეშვეობით, პერსონალის შეკრებებზე, სადაც მიზნები განიხილება და სოციალურ ღონისძიებებზე, სადაც გახმოვანდება დაწესებულების მიზნები და ამოცანები.
- პედაგოგიური კოლექტივისთვის დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი და დაფინანსებული უნდა იყოს პროფესიული ზრდის საშუალებები. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია პროფესიული სემინარების, ვორკშოპების, კონფერენციების მეშვეობით ორი მიზეზის გამო: პირველი- ისინი შეიძენენ პროფესიულ კომპეტენციას, რაც აამაღლებს ქმედების დონეს სწავლებისას და მეორე- ამ კომპეტენციის ფლობა მიანიჭებს მათ თავდაჯერებას, რაც გააუმჯობესებს მათ მოტივაციას და თავდადებას მასწავლებლის მიმართ.
- მასწავლებლებს უნდა მეიცეთ დამოუკიდებლობა. როცა აქვს თავისუფლება გადაწყვიტოს რა გააკეთოს და როგორ შეასრულოს მოვალეობა, მასწავლებელი შეგულიანებულია ხელში აიღოს

ინიციატივა და მოგვიანებით, ის იღებს პასუხისმგებლობას ადასრულოს თავისი მოვალეობა. პედაგოგი ჩართული უნდა იყოს სასწავლებლის მენეჯმენტში და მისი პოლიტიკის აღსრულებაში, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეს ყოველივე ავითარებს მასწავლებლებში შეგრძნებას, რომ ისინი ეკუთვნიან დაწესებულებას. მასწავლებლის ძალაუფლებითა და ავტონომიით აღჭურვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოლექტივის მოტივირებაში, რადგან ეს არწმუნებს მათ, რომ ისინი ფასეული და საიმედო არიან დაწესებულებისთვის, და შედეგად, ეს რწმენა ზრდის მათ თავდაჯერებულობას და შეაგულიანებს მეტად მიუძღვნან თავიანთი თავი სწავლებას და სასწავლებლის ხედვისა და მიზნების ხორცშესხმას.

- მასწავლებლის ძალისხმევის და მიღწევების აღიარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც წამახალისებელი ჯილდოებით, ასევე სიტყვიერი შექებით. შესაფერისი აღიარების გარანტირებისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოტივირდება თითოეული ინდივიდი, ე.ი., გარე თუ შიდა ფაქტორები არის მეტად ეფექტური. აღიარება ეფექტური და პროდუქტიული რომ იყოს, ის გულწრფელი, სპონტანური, დაუყოვნებლივი, საჯაროდ ან პრივატულად უნდა იყოს გამოხატული, ქმედების დროს, ან განგრძობადი კარგი ქმედების შედეგად, მაგ., დაჯილდოების ცერემონიაზე.
- მასწავლებლების ხელსაყრელი სამუშაო პირობებით და მომსახურების საშუალებებით უზრუნველყოფა- ფიზიკურ, ხელშემწყობ პირობებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათქმაუნდა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ იმაზე, თუ ეფექტურად როგორ შეძლებენ მასწავლებლები სწავლებას და სტუდენტები სწავლას. სამუშაო პირობებმა როგორებიცაა: საკლასო ოთახის ზომა, მასწავლებლის

სამუშაო დატვირთვა, ბიუროკრატიული სამუშაო, ა.შ. შესაძლოა პოზიტიურად ან ნეგატიურად იმოქმედოს მასწავლებლის მოტივაციაზე საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ადმინისტრატორებს შეუძლიათ გარანტირებულად მიიღონ ოპტიმალური ქმედება მასწავლებლებისგან, თუ მათ უზრუნველყოფენ სასურველი სამუშაო პირობებით.


- გარე ფაქტორები, როგორებიცაა, ხელფასი, შესაძლოა სამუშაოთი უკმაყოფილების წყარო იყოს და მასწავლებლის დემოტივაცია გამოიწვიოს. სამუშაო დატვირთვა და ხელფასი ბალანსირებული უნდა იყოს, და მასწავლებელი არ უნდა ფიქრობდეს, რომ მას ცოტას უხდებიან. თუ არის უთანასწორობა ძალისხმევასა და ხელფასს შორის, მასწავლებელი შესაძლოა დემოტივირებული გახდეს.
- სამუშაოს სტაბილურობა და უსაფრთხოება ასევე სათუთი საკითხებია და ადმინისტრაცია ამას უნდა აცნობიერებდეს. სამუშაოს უსაფრთხოების მიმართ ნებისმიერმა საფრთხემ შესაძლოა პერსონალი დაწესებულებისადმი ნაკლებ ერთგულად აქციოს, და მის მიერ სამსახურის დატოვებაც კი გამოიწვიოს. ადმინისტრატორებმა თავი უნდა აარიდონ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც შეამცირებს სამუშაოს უსაფრთხოებას ან შესაძლოა ამგვარად იქნას აღქმული, თუ სურთ მათი მასწავლებლები დარჩნენ თავდადებული ყოველივე იმის მიმართ, რასაც სამუშაო მოიცავს.

ყველა ეს რეკომენდაცია ეფუძნება მოტივაციის, დასაქმებულის მოტივაციის, ზოგადად და კონკრეტულად, მასწავლებლის მოტივაციის შესახებ უძლიერეს თეორიებს. უფრო მეტიც, გათვალისწინებულია ასევე ამ თვალსაზრისით დიდად გამოცდილი ადმინისტრატორების რჩევებიც. რეკომენდაციები ისე არის შედგენილი, რომ მათ შეუძლიათ დაეხმარონ დაწესებულების ადმინისტრაციას აღკვეთონ თავის საქმიანობაში მასწავლებლის

დემოტივაციის გამომწვევი ზომები და არ გამოიწვიონ პედაგოგიური კოლექტივის კარგვა.

3. წამოყენებული იყო ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მოტივირებული მასწავლებლები მეტად გააუმჯობესებდნენ სტუდენტების საუბრისა და მოსმენის უნარებს, ვიდრე ნაკლებ მოტივირებული მასწავლებლები. აღნიშნული უნარები შეფასდა საბოლოო ტესტის მეშვეობით და აღმოჩნდა, რომ სამივე ჯგუფმა (კლასი A, კლასი B და კლასი C) გააუმჯობესა თავისი საშუალო ქულა საბოლოო ტესტში წინა ტესტებთან შედარებით; თუმცადა, კლასმა A, რომელსაც ასწავლიდა დიდად მოტივირებული მასწავლებელი (მასწავლებელი A), გაცილებით უკეთესი სამეტყველო ქმედებები აჩვენა, ვიდრე სხვა ჯგუფებმა (კლასი B და კლასი C). რაოდენობრივმა (ექსპერიმენტულმა) შედეგებმა დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა, რომ დიდად მოტივირებული მასწავლებლები აუმჯობესებენ სტუდენტების მეტყველებას მეტად, ვიდრე ნაკლებ მოტივირებული მასწავლებლები. საშუალო გაზრდილი ქულა კლასში A იყო 17.25 ქულა და კლასში C ის შეადგენდა ოთხს.

#### საუბრისა და მოსმენის გაუმჯობესება



4. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევის შედეგები შეზღუდულია, ისინი ნათლად უჩვენებენ, რომ არსებობს აშკარა კავშირი მასწავლებლის მოტივაციის დონესა და სტუდენტის მიერ სწავლასა და მიღწევებს შორის: რაც უფრო მაღალია მასწავლებლის მოტივაცია, მით უფრო მაღალი დონისაა სტუდენტის

სამეტყველო ქმედება და რაც უფრო დაბალია მასწავლებლის მოტივაცია, მით უფრო დაბალი დონის სამეტყველო ქმედებების დემონსტრირებას ახდენენ სტუდენტები. უფრო მეტიც, როგორც ექსპერიმენტის შედეგები და სტუდენტებთან საბოლოო ინტერვიუ გვიჩვენებს, მოტივირებული მასწავლებლის მიერ გამოყენებულმა სწავლების უფრო ინტეგრირებულმა მიდგომამ სტუდენტის სწავლისადმი პოზიტიური რეაქცია გამოიწვია, რასაც შედეგად მოყვა სტუდენტის ქმედების გაუმჯობესების უფრო მაღალი დონე. (მასწავლებელი A). მაშინ, როცა ნაკლებად მოტივირებული მასწავლებლის მიერ გამოყენებულ ტრადიციულ მიდგომას სტუდენტებმა ნეგატიური უკუკავშირით უპასუხეს, რაც მიუთითებს სტუდენტებში ძალიან დაბალ მოტივაციას და შესაბამისად, სამეტყველო ქმედების ძალიან დაბალ დონეზე გაუმჯობესებას კვლევის პერიოდში (მასწავლებელი C). ზომიერად მოტივირებულმა მასწავლებელმა, რომლის სწავლების სტრატეგიები მის განწყობაზე იყო დამოკიდებული და იმ ფაქტმა, რომ ვერ ახერხებდა მოქნილი ყოფილიყო კურიკულუმის ფარგლებში, სტუდენტის სამეტყველო მოქმედების თვალსაზრისით მოიტანა შედეგები კარგიდან საშუალოს ფარგლებში (მასწავლებელი B).

5. მაღალ მოტივაციას მივყავართ ინოვაციურ სტრატეგიებამდე, შემოქმედებით სწავლებამდე და კურიკულუმის ფარგლებში მოქნილობამდე, ე.ი., დიდად მოტივირებული მასწავლებლები ტექნოლოგიას კომპეტენტურად იყენებენ, რაც მათ საუბრისა და მოსმენის უნარების სწავლებაში ეხმარება, ისინი გაკვეთილზე მომზადებული მოდიან, ორგანიზებული არიან, მოქნილი სიტუაციისა და მოვალეობიდან გამომდინარე, ხელს უწყობენ სტუდენტის მონაწილეობას, აწვდიან მას უკუკავშირს, ანიჭებენ სტუდენტს დამოუკიდებლობას, თუმცა, აკონტროლებენ სასწავლო პროცესს, იყენებენ სოციალურ მედიას, ინტერნეტს და სხვა აუდიო-ვიზუალურ საშუალებებს უფრო ხშირად, ვიდრე ნაკლებ მოტივირებული მასწავლებლები, ისინი

იყენებენ მრავალგვარ აქტივობებს, როგორებიცაა, როლების თამაში, თამაშები, დისკუსიები, დებატები, სტუდენტთა პრეზენტაციები, ინდივიდუალური, წყვილთა და ჯგუფური სამუშაოები, როგორც საუბრის აქტივობებს უფრო ხშირად, ვიდრე ნაკლებ მოტივირებული მასწავლებლები, ისინი აბალანსებენ მასწავლებლის საუბრის დროს სტუდენტის საუბრის დროსთან, ქმნიან მეგობრულ გარემოს საკლასო ოთახში, და უზრუნველყოფენ სტუდენტს ფილმებით, სიმღერებით, ავთენტური დიალოგებითა და საუბრებით სხვადასხვა გარემოში, როგორც ექსტენსიური და ინტენსიური მოსმენის საშუალებას.

6. მოტივირებული მასწავლებელი გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც ზეგავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტის წარმატებაზე, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის ხანგრძლივ პროცესში სტუდენტთა აქტიურად ჩართვის საქმეში. გამომდინარე აქედან, ერთ-ერთი მოქმედი მეთოდი, თუ როგორ გავზარდოთ სტუდენტთა საერთო ქმედება და მიღწევები ენის შესწავლისას არის ენის მასწავლებლების ეფექტურად მოტივირება. კვლევა გვთავაზობს ადმინისტრატორები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები, სკოლის დირექტორები კონცენტრირდნენ თავიანთი მასწავლებლების მოტივაციის გაუმჯობესებაზე, რადგან სტუდენტის საერთო აკადემიური ქმედება მასწავლებლის მაღალი დონის მოტივაციის მეშვეობის უმჯობესდება. სტუდენტთა საერთო აკადემიური ქმედება უმჯობესდება, რადგან მოტივირებული მასწავლებლები:

- ამყარებენ კარგ ურთიერთობას თავიანთ სტუდენტებთან მათთან მეტად ინტერაქციის მეშვეობით, აწყობენ კლასგარეშე აქტივობებს, აქვთ ოფისის საათები, ხელმისაწვდომი არიან, პრივატულ გარემოში აგვარებენ ცუდი ყოფაქცევის პრობლემებს, პოზიტიურად აგულიანებენ სტუდენტებს და ეპყრობიან მათ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე პირებს. მასწავლებლის

მოტივაცია არის მასწავლებელსა და სტუდენტს შორის კარგი ურთიერთობის გარანტი, რაც დადებითად აისახება სწავლებაზე.

- მოტივირებული მასწავლებლები გამოასხივებენ ენთუზიაზმს, რამაც შესაძლოა შემსწავლელებიც ენთუზიაზმით აღავსოს. მოტივაცია გადამდებია: როცა მოტივირებული მასწავლებელი წარმოაჩენს ენთუზიაზმს საკლასო ოთახში, ეს განწყობა აისახება სტუდენტთა ენთუზიაზმზეც და მეტად სავარაუდოა შემსწავლელებიც სწავლის მოწადინებით აღივსებიან.
- მოტივირებული მასწავლებლები თვით-ეფექტური არიან, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ბევრს ელიან თავიანთი სტუდენტებისგან, რადგან აღიქვამენ მათ, როგორც მოწადინებულ ენის შემსწავლელებს და მათმა აღქმამ შესაძლოა შედეგად მოიტანოს ენის შესწავლისას გაუმჯობესებული ქმედება, რამაც თავის მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს სტუდენტში შესწავლის დიდი მზაობა.
- მოტივირებულ მასწავლებლებს სჯერათ, რომ ენის სწავლებაში პედაგოგთა თანამშრომლობას პოზიტიური ეფექტი აქვს. გამომდინარე აქედან, ეს კვლევა გვაწვდის მტკიცებულებს, რომ მოტივირებული მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ეს ასევე მიუთითებს, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობა მნიშვნელოვნად ზრდის მეორე ენის შემსწავლელის ქმედების დონეს.
- მოტივირებული მასწავლებელი გავლენას ახდენს შემსწავლელის ქცევაზე ძალზედ პროდუქტიულად და სასურველი ფორმით იმ ძალისხმევის მეშვეობით, რომელსაც ის იყენებს სწავლების პროცესში სტუდენტისთვის მოსაწოდებელი ცოდნის გადაცემისას.

- მოტივირებული მასწავლებლები შემსწავლელებში აღძრავენ სურვილს უკეთესად სწავლისთვის კურსისა და მასალის მიმართ პოზიტიური განწყობით.
  - მასწავლებლის მოტივაცია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სტუდენტის დასწრებაზე, ასე რომ, სტუდენტს მეტი შესაძლებლობა აქვს ისწავლოს.
  - მოტივირებული მასწავლებლები აგულიანებენ სტუდენტებს გახდნენ დამოუკიდებელი შემსწავლელები.
  - მოტივირებული მასწავლებლები იყენებენ სასწავლო მასალას და აღჭურვილობას უფრო ეფექტურად, რასაც პოზიტიური ზეგავლენა აქვს სწავლის პროცესზე და ასევე შემსწავლელის მოტივაციაზე.
  - მოტივირებული მასწავლებლები პროფესიულად ხვეწენ საკუთარ თავს, რასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს შემსწავლელის აკადემიურ ქმედებაზე ნებისმიერ საგანში.
7. კვლევა ინგლისური როგორც უცხოური და მეორე ენის მასწავლებლებს და ნებისმიერი საგნის მასწავლებელს სთავაზობს სასარგებლო რეკომენდაციებს, თუ როგორ გაზარდონ საკუთარი მოტივაციის დონე; მთავარია, მოტივაციის ნაკლებობის შემთხვევაში გააცნობიერონ რომელი ასპექტი- ასაკობრივი, კარიერული, სახელფასო, დაწესებულებასთან თუ ოჯახთან დაკავშირებული, ა.შ. იწვევს მათი მოტივაციის დონის დეფიციტს და ეძიონ პრობლემის გადაწყვეტა პროფესიონალ კარიერის მრჩეველთან. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ მოტივაციის ნაკლებობა და მისი თანმდევი არაეფექტური სწავლება გამოიწვევს კოლეგებთან, დაწესებულების ადმინისტრატორებთან და უპირველესად, სტუდენტებთან მათი რეპუტაციის კარგვას და საფრთხის წინაშე დააყენებს მათ კარიერას. მაშინ, როცა პერსონალური პრობლემების მოგვარება პრივატულ გარემოშია შესაძლებელი, დაწესებულებასთან დაკავშირებული ასპექტები, რომლების დემოტივაციას იწვევენ, შესაძლოა



მოგვარდეს ადმინისტრატორებთან მოლაპარაკებით - მასწავლებლებს  
შეუძლიათ მოითხოვონ კარგი სამუშაო პირობები, პატივისცემა, ზომიერი  
ხელფასი, ა.შ.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. Koran, S. (2015). Analyzing EFL Teachers' Initial Job Motivation and Factors Effecting Their Motivation in Fezalar Educational Institutions in Iraq, *Advances in language and Literary studies Online ISSN:2203-4714*, vol. 6, No 1, გვ.72-80
2. Koran, S. (2015). Measuring the degree of English teachers' motivation, *Journal of Education in Black Sea Region*, vol. 1, issue 1, გვ.55-64
3. Koran, S. (2015). Causes and culprits of losing motivation among foreign language teachers, *Proceedings of IRCELT 2015 Conference 1<sup>st</sup>-2<sup>nd</sup> May, Tbilisi, Georgia*. გვ. 245-250
4. Koran, S. (2015). The Role of Teachers in Developing Learners' Speaking Skill, *Proceedings of VESAL 2015 Conference 26th-27<sup>th</sup> April 2015, Erbil, Iraq*. გვ. 400-416
5. Koran, S. (2015). Motivational Strategies in EFL Classrooms And their Feasibility in Iraqi Context, *International Journal of Applied Linguistics & English Literature* ISSN 2200-3592 (Print), ISSN 2200-3452 (Online). Vol. 4, No. 3, გვ. 45-52